ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/1085-18

"11" 06 2018 წ.

დადგენილება №000112
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

11.06.2018წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაფელმა განვიხილე 2018 წლის 8 ივნისის №000112 შემოწმების აქტი „საშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი ე.ს.ა. "ვაჟა-ფშაველა 2007-ს (მის: ქ. თბილისი, ვაჟა–ფშაველას გამზირი №76ბ) მიმართ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ვაჟა–ფშაველას გამზირი №76ბ–ში (ს/კ №01.14.03.039.055), ე.ს.ა. "ვაჟა-ფშაველა 2007-ს მიერ, განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 3284506 29.05.2017წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის (№3753294 27.12.2017წ.) დარღვევით: ფასადებზე გაზრდილია რიგელების რაოდენობა. შეცვლილია ფანჯრების რაოდენობა და გაბარიტი. შეცვლილია მინაბლოკების სიმაღლე, რაოდენობა და ნაწილობრივ მდებარეობა. „დ-ა" ფასადი: +3,90 დან +7,75 ნიშნულების ჩათვლით „ბ-ა მონაკვეთში გაუქმებულია ფანჯრები და მოწყობილია აივნები. შენობის სიგნით შემცირებულია სამანქანო პანდუსის სიგრძე და ფორმა, ხოლო დახრის პროცენტი შეადგენს 20%-ს. „ა"" ღერძთან სართულებზე ბაქნებთან დამატებულია კოლონები და „5" ღერძთან შეცვლილია კედლის ფორმა. „4" ღერძთან გაზრდილია ლიფტის ღიობის სიგანე. -2,27 ნიშნულზე „ა-გ" და „5-7" მონაკვეთში გაზრდილია მონოლითური კედლების სისქე და „6" ღერძზე მონოლითულ კედელში მოწყობილია ბლოკით შევსებული ნიშა. „7-1" ფასადი: -6,10 და +3,70 ნიშნულებზე გაზრდილია კაპიტალური კედლების რაოდენობა. „1-7" ფასადი: +3,55 ნიშნულზე „3-2" მონაკვეთში კარის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა.

2018 წლის 16 იანვარს სამსახურის მიერ გაიცა №17-01180161963 სარეკომენდაციო წერილი და დამკვეთს განესაზღვრა 120 კალენდარული დღე დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების გამოსწორების ან/და

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

კორექტირებული არქიტექტურული პროექტის და ახალი მშენებლობის ნებართვის წარმოსადგენად, რაც არ შესრულდა.

2018 წლის 8 ივნისს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის „თ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000112 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოალნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ე.ს.ა. "ვაჟა-ფშაველა 2007-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ვაჟა–ფშაველას გამზირი №76ბ–ში (ს/კ №01.14.03.039.055), განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.ჰ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 3284506 29.05.2017წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის (№3753294 27.12.2017წ.).

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 25[1] მე-6 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.ბ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. ე.ს.ა. "ვაჟა-ფშაველა 2007" დაჯარიმდეს 10000 (ათიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალფუნქციური შენობა) მშენებლობისათვის;

2. ე.ს.ა. "ვაჟა-ფშაველა 2007"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ე.ს.ა. "ვაჟა-ფშაველა 2007"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, „დამრღვევის მიერ დაკისრებული

ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7);

სამსახურის უფროსის
მოადგილე **მამუკა ჯაყელი**

საგადასახადო დავალება
Payment Order

0

GEL

ს.ს. „თიბისი ბანკი"

თარიღი / Date: 04/07/2018

გადამხდელი / sender

ამხანაგობა ვაჟა-ფშაველა 2007, 205185244

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account: GE98TB7968336050100001

გადამხდელის ბანკი / Sender's bank: სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code: TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name: ამხანაგობა ვაჟა-ფშაველა 2007, 205185244

საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code: 205185244

მიმღები / ReceIver

საზღინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code: 300773263

მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code: TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional information

დადგენილება N: 000112 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

რეფერენსი / Ref. Num.: 2121770385

თანხა / Amount: 10,000.00 GEL

თანხა სიტყვიერად
Amount in words: ათი ათასი ლარი 00 თეთრი

გადარიცხვის საკომისიო
Transfer Fee: 7 GEL

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date: 04/07/2018

ხელმოწერა
Signature

თიბისი ბანკი TBC BANK TBCBGE22 0840

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ სახელმძღვანელო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხელშეკრულებას საგადახდო დავალების საკომისიოს დათვლის პრინციპი შეიძლება იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

04/07/2018 7:25:34 PM

2121770385

გეთხოვებათ ქვითარი